№ 165 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. კვირა, ივლისის 25 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებაანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიას

მომავალი ენკენისთვიდან სჭირდება

### ექვსი მასწავლებელი

ფილოლოგი—2, მათემატიკოსი—2, რუსული ენის მასწავლებელი—1. გერმანული ენის—1. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ სამინისტროს. 3—2 782

## მალე დაიბეჭდება „ქართული ენის სასწავლებლის მეთოდიკა“

შედგენილი ილია ფერაძის მიერ. წიგნი დაშვებულია სახელმძღვანელოდ სოფლის მასწავლებელთათვის.

782 3—2

დირექტორი ილია ფერაძე.

## მომარაგების სამინისტრო

ამით აცხადებს, რომ სადგურ ყაზბეგში და თერგის ოლქში მას ყავს სურსათის შესაძენათ თავისი წარმომადგენლები, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებებით. აღნიშნულ რწმუნებულთა გარდა არავის არა აქვს სამინისტროსაგან ასეთი მინდობილობანი.

გარდა ამისა არავის არა აქვს უფლება გაიტანოს ყუბანის და თერგის ოლქებში, საქართველოს საზღვრებიდან რაიმე საქონელი: შაქარი, მანუფაქტურა, ტყავეულობა და სხვა გარდა თვით სამინისტროსი და მის ოფიცალურ ადგილობრივ წარმომადგენლებისა.

783 3—1

## სახელმწიფო თეატრი იწვევს

მსურველთ აილონ იჯარით 2 ბუფეტი თეატრში

და ყიდვა ცალკე სამყოფში, თეატრშივე, ლიმონადისა და კანდიტერულ ნაწარმოებისა. ვაჭრობა მოხდება სიტყვიერი და დაბეჭდილი განცხადებით 3 აგვისტოს ამ 1920 წ., დღის 12 საათზედ. დაბეჭდილ განცხადებაში უნდა იქნას დართული 10 პროცენტი განცხადებული ფასისა. 12 საათის შემდეგ დაბეჭდილი განცხადებები აღარ მიიღება.

785 1—1

## სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზ. წევრთა საყურადღებოდ:

კვირას 1-ლ აგვისტოს 1920 წ. დილის 11 საათზე სიღნაღის ახალი კლუბის საზაფხულო დარბაზში დანიშნულია სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება, რომელიც განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1. თავმჯდომარის—გამგეობის წევრის არჩევა და
2. მიმდინარე საკითხები.

თუ ეს კრება არ შესდგა, მეორე დანიშნულია კვირას 15 აგვისტოს 1920 წ. ამავე კლუბის დარბაზში და თანახმათ წესდების § 36 კანონიერი იქნება რაძდენი წევრიც უნდა დაესწროს.

784 1—1

გამგეობა

### ოფიციალური განყოფილება

## შტატი

1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

| №№ რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თვითეულს. (მანეთი.) | წლიური ჯამაგირი თვითეულს. (მანეთი.) | წლიური ჯამაგირი ყველას. (მანეთი.) |
|---|---|---|---|---|---|
| | **27. ახალდაბის სადარაჯო.** | | | | |
| 1 | კონტროლიორი | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 2 | დარაჯი | 3 | 1000 | 12000 | 36000 |
| | სულ | 4 | — | — | 49200 |
| | **28. ხკიპიდარის საკეთებელი ქარხანა** | | | | |
| 1 | ნოქარი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 2 | კანტორის მოხელე | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 3 | მუშა I კატეგორიისა | 1 | 1200 | 14400 | 14400 |
| 4 | მუშა II „ | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| | სულ | 4 | — | — | 55200 |
| | **29. ციხისჯვარის ფერმა.** | | | | |
| 1 | ფერმის გამგე | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 2 | საბეითლო ფერშალი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 3 | საქონლის მომვლელი | 2 | 1500 | 18000 | 36000 |
| 4 | მენახირე | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 5 | მოსამსახურე-მომვლელი და მომწველი მუშა. | 10 | 1200 | 14400 | 144000 |
| 6 | მწყემსი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| | სულ | 16 | — | — | 270000 |
| | **30. მამულის სკოლა.** | | | | |
| 1 | მასწავლებელი | 2 | 1000 | 12000 | 24000 |
| | სულ | 2 | — | — | 24000 |
| | სულ მამულისათვის | 554 | — | — | 7705680 |
| | **აბასთუმანის სახელმწიფო მამული.** | | | | |
| 1 | მოურივი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 2 | ხუროთ მოძღვარი (იგივე მოურავის თანაშემწე | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 3 | ექიმი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 4 | ბუხჰალტერი | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| 5 | ტეხნიკოსი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 6 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 7 | სამეურნეო ნაწილის გამგე | 1 | 2100 | 25200 | 25200 |
| 8 | დურგალი | 1 | 1680 | 20160 | 20160 |
| 9 | ბალნეოლოგიური განყოფილების მოლარე | 1 | 1470 | 17640 | 17640 |
| 10 | ზეინკალი | 1 | 1470 | 17640 | 17640 |
| 11 | უფროსი დარაჯი | 1 | 1120 | 13440 | 13440 |
| 12 | სასახლის დარაჯი | 7 | 1050 | 12600 | 88200 |
| | სულ | 18 | — | — | 362880 |
| | სულ აბასთუმნის მამულს | 18 | — | — | 362880 |

1920 წ. ივნისის 7-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## განკარგულებანი

### იუსტიციის მინისტრისა.

15 ივლისი, 1920 წ., № 275.

**დაინიშნოს** ახალქალაქის მეორე უბნის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის აღმასრულებლად ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კურს დამთავრებული იოსებ სოლომონის ძე გელიაშვილი ამა წლის ივლისიის 22 დან.

21 ივლისი, 1920 წ., № 279.

**იგზავნება** ბათუმის ოლქის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სამხედრო გამომძიებელი ივანე ივანეს ძე ჭეიშვილი ამა წლის ივლისის 21-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არხენიძე.**

—

### ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟოს ნაწილის მმართველისა.

14 მაისი, 1920 წ., № 28.

**გადარიცხულნი** არიან ტფილისის საბაჟოში შემდეგი მოხელენი მთავარ საბაჟოსი, რომელიც საბაჟო ნაწილის მისგან გამოყოფის შემდეგ ითვლება გაუქმებულად, როგორც ცენტრალური დაწესებულება:

მთავარ საბაჟოს ბუხჰალტერის უფროსი თანაშემწე ნ. შავდია ამავე თანამდებობაზე, მთავარ საბაჟოს ბუხჰალტრის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი თ. ტაბიძე ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწედ; მთავარ საბაჟოს ბუხჰალტრის უმცროსი თანაშემწე მ. შუაქრიშვილი ამავე თანამდებობაზე; მთავარ საბაჟოს ბუჰხალტრის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ი. ყირქესელიშვილი ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწედ; მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უფროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი პ. ქიქოძე საწყობის ზედამხედველის უფროს თანაშემწედ; მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი დ. კორძაია საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ; მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ალ. ჩიხაძე საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ.

ზემოაღნიშნულნი პირნი ითვლებიან გადარცხულად ხსენებულ თანამდებობაზე ამა წლის 11 მარტიდან.

**დათხოვნილია** სამსახურიდან: ტფილისის საბაჟოში: ამავე საბაჟოს მდივნის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი მ. სიხარულიძე ამა წლის 1 მაისიდან თანახმად თხოვნისა.

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ნაწილის მმართველი **ზ. მიქაძე.**

### ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსისა.

7 ივნისი, 1920 წ., № 31.

**გამწესებული არიან:** მოქალაქენი ევგენი ვასაძე და ნიკოლოზ ზუბიაშვილი მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ ტფილისის ფოსტაში, ყოფილი მოხელე დიმიტრი ერქომაშვილი დიდივანის განყოფილების უფროსად; მოქალაქე პელაგია ხახანაშვილი, ყოფილი ფოსტალიონი ნიკო კიტუანი, ყოფილი მოხელეები: პეტრე მეტრეველი და დიონისი ბარქიცკი ახლად ფოსტა-ტელ. მოხელეებათ: ხახანაშვილი—გორში მე-VI ხარისხით, კიტუანი—ონში მეექვსე ხარისხით, მეტრეველი მეხუთე ხარისხით ახალქალაქში, ბარქიცკი მესამე ხარისხით ტფილისის ტელეგრაფში; ბარქიცკი 1 ივნისიდან, კიტუანი და ხახანაშვილი 8 ივნისიდან, მეტრეველი 6 ივნისიდან, დანარჩენნი 7 ივნისიდან 1920 წლისა.

**დანიშნული არიან:** ფოსტალიონი გორის მაზრის ახალქალაქის განყოფილებისა ლაზარე თათარაშვილი და დიდივანის განყოფილების უფროსი ქარსუნ ლორია მოხელეებათ: ლორია—ჩოხატაურში მესამე ხარისხით და თათარაშვილი წნორის წყალზედ მეექვსე ხარისხით ორივე 7 ივნისიდან 1920 წ.

**გადაყვანილნი არიან:** ზედამხედველები: ბორჯომის—სტეფანე კრეპსი და გურჯაანის ნიკოლოზ მალალაშვილი, საჩხერის ფოსტალიონი სერაპიონ ტაბატაძე და მოხელეები: ახალათონის მე-VI ხარ. კალისტრატე კოვზირაძე, საჩხერის მეხუთე ხარ. ვლადიმერ ვეშაპიძე და ტფილისის ტელეფონის ქსელის მარიამ მესხი იმავე წოდებებით: კრეპსი—გურჯაანში, მალალოვი—ბორჯომში, კოვზირაძე—ტყიბულში, ტაბატაძე და ვეშაპიძე—შორაპანში და მესხი ქუთაისის ტელებონის ქსელზე; მესხი 1 ივნისიდან, კრეპსი, მალალოვი 7 ივნისიდან, კოვზირიძე 8 ივნისიდან, ტაბატაძე და ვეშაპელი 9 ივნისიდან, ხოლო მესხი თანახმად თხოვნისა, დანარჩენნი სამსახურის სასარგებლოთ.

**დათხოვნილი არიან** სამსახურიდან: ტფილისის ტელეფონის ქსელის ზედამხედველი იოსებ არაბაშვილი და გაგრის კანტორის მოხელეები: მეხუთე ხარისხის: სამსონ ხოჭოლავა და მეექვსე ხარისხის მიხეილ კავკარაძე; არაბაშვილი 10 ივნისიდან, ხოჭოლავა და კავკარაძე თანახმად თხოვნისა, პირველი ივნისიდან 1920 წ.

**გაძევებულია** თანამდებობიდან: მესამე ხარისხის მოხელე რკინის გზის განყოფილებისა რაჟდენ ნუცუბიძე თანახმად 1100 მუხ. სისხლის სამართლის კანონისა და მიცემულია პასუხის გებაში იმავე კანონის 629 მუხ. ძალით 1920 წლის ივნისის 9 დან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება

**რესპუბლიკის ჯარების მიმართ**

22 ივლისი, 1920 წ., № 112.

1919 წლის იანვრის თვის პირველ რიცხვებიდან დაარსდა ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის შემდეგი დაწესებულებათა წარმომადგენელნი: დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის წევრი—ნ. იმნაიშვილი, სამხედრო სამინისტროს—ე. ართმელაძე, გვარდიის ექ. ცინცაძე, პროფესიონალურ კავშირების—ფანცხავა, დაჭრილ და დასახიჩრებულთა კავშირის—მუხელიანი, ვაჭრ რ-მრეწველთა—ლალიძე, რკინის გზის—ს. დოლიძე და ქ-ნნი ნინო გაბაშვილისა, ელიავასი, რამიშვილისა, კიკვაძისა და ბახტაძისა, სერ. ჟორჟოლიანის თავმჯომარეობით. აღნიშნულმა კომიტეტმა დაისახა მიზნად დახმარება გაეწია ფრონტზე მყოფ მეომართათვის, გაემტკიცებია მათში სამშობლოს თავდაცვის იდეა, ალემაღლათ ისენი ზნეობრივათ, გაემხნევებიათ მით, რომ მთელი საქართველო მათი ჭირისუფალია, რომ თუმც ბევრი ფრონტზედ არ იმყოფება, მაგრამ ისინი ფიქრობენ და ზრუნავენ თავის გმირ დამცველებზე. ამ მიზნით კომიტეტმა მოაწყო ფრონტზე საჩუქრების გაგზავნა, ლაზარეთების მოწყობა, ერთდროული დახმარება ჯარში გაწვეულთა ღარიბ მშობლებისათვის, დაჭრილთა და დასახიჩრებულთა ექიმობა და მოწყობა, კულტურული განვითარება ჯარის. კომიტეტმა მთელ რესპუბლიკაში დამხმარე ქსელი გაება და ყოველი კუთხიდან კრებდა საჩუქრებს ჯარისათვის, თვით მიჰქონდა ფრონტზე და ანაწილებდა სხვა და სხვა ნაწილებში. ჯარისკაცნი აღტაცებით ეგებებოდენ ძვირფას სტუმრებს და დიდ მადლობას გამოსთქვამდენ. ესეთი მოღვაწეობისათვის ულრმეს მადლობას უცხადებ მხედრობის სახელით კომიტეტის წევრებს და ყველა მათ, ვინც შეუწყო ხელი ფრონტის გაძლიერებას თავისი მატერიალური და მორალური გავლენით. რესპუბლიკის მხედარნი არასოდეს არ დაივიწყებენ ასეთ ღვაწლს და გმირულად დაიცავენ მტრისგან რესპუბლიკის საზღვრებს და მის მოქალაქეთა კეთილდღეობას.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

**20 ივლისის სხდომა**

**თამბაქოს უბაჟოთ გატანა სომხეთში**

ნება დაერთოს სომხეთში უბაჟოთ 300 ფ. თუთუნის გატანას. დადგენილ წესით 300 ფუთ თუთუნის გატანისათვის უნდა გადაეხადათ 900.000 მან.

**გატანის ნებართვა**

ყარაბახ-ზანგეზურის რაიონის სათვისტომოს ნება დაერთოს ზოგიერთ საქონლის გატანისა, რომლის შესახებაც მათ შუამდგომლობა ჰქონდათ აღძრული, ამასთანავე ლორისა და ვორონცოვის კოოპერატივთა კავშირს ნება მიეცეთ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალ ზონაში საქონლის გატანისა.

**სასამართლო დაწესებულებანი**

სასამართლოს დაწესებულებათა საჭიროებისათვის ძმ. ბორელიშვილებს ჩამოერთვას მთელი ქონება, რომელიც სასამართლოს ქუჩაზე № 31 იმყოფება. გამორკვეულია აგრეთვე ჯამი, რომელიც უნდა მიეცეს მათ ამ ქონებაში. ეს გასავალი დაიფაროს იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში მყოფ საბინაო კრედიტებიდან.

**ადგილობრივ ბანკების მოქმედება**

მომარაგების მინისტრის მოხსენების გამო ბანკების მოქმედებისა და ზოგი საქონლის გატანის აკრძალვის შესახებ მთავრობამ დაადგინა: 1) მიენდოს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს, რომ მან შემდეგი სხდომისთვის წარმოადგინოს სია იმ საქონელთა, რომლის შემოტანაც შეიძლება რესპუბლიკაში. 2) მიღებულ იქნას ზომები იმ ბანკების წინააღმდეგ, რომელთა მოქმედებაც რესპუბლიკისათვის მავნებლად იქნება ცნობილი.

# დამფუძნებელი კრება

(დასასრული)

**შ. ქარუმიძე** აღნიშნავს, რომ ჩვენი წარმოება არ არის ისეთი ძლიერი, რომ შეეძლოს პირდაპირ უშუალოთ საქონელი ჩააბაროს მთავრობას. გარეშე პირები უწინ საქონლის ყიდვასთან ერთად წინასწარ აძლევდენ საწინდარს საქონლის დასამუშავებლად და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ თუ მთავრობა და მწარმოებლები ხელჩაკიდებული არ იქნებიან, ისე ძნელათ დააღწევს ჩვენი ქვეყანა თავს გაჭირვებას. სანამდი ჩვენი წარმოება ფეხზე დადგება მთავრობა მას უნდა დაეხმაროს. ორატორი აღნიშნავს, რომ თუ მთავრობა არ დაეხმარება მწარმოებლებს საქონლის გატანაში, შეიძლება ბაზარი დიდი ხნით დავკარგოთ. შემდეგ ამისა ორატორი ეხება იმ მიზეზებს, თუ რამ გამოიწვია ინტენსიურ მეურნეობის შემცირება. დღეს თუ ქიზიყში თამბაქოს აღარ სთესენ არა იმიტომ, რომ მუშა ხელის ნაკლებობა ან სხვა პირობები უშლიდა ხელს, არამედ მიტომ, რომ ხალხმა მიწები გადახნა ხორბლის მოსაყვანათ. აუარებელი მიწები დაიხნა საქართველოში და შესაძლებელია ამან კრიზისიც გამოიწვიოს. თუ დღეს პური ასე გვესაჭიროება და კარგია ბევრი პურის მოყვანა, შეიძლება დადგეს ისეთი დრო, რომ შემოვიდეს სხვა ქვეყნიდან იაფი პური და ამან კი გაართულოს მდგომარეობა ინტენსიურ მეურნეობაზე ხელის აღება ეს დიდი რეგრესი არის. არ უნდა შეიქნას ისეთი მდგომარეობა, როცა თამბაქოს ნაცვლად სიმინდის თესვას მიყვება ხალხი. რაც შეეხება 100 მილ. მ. სესხს, ორატორი მომხრეა მისი.

მომხსენებელი **თევზაია** უპასუხებს რა ოპონენტებს, აღნიშნავს, რომ დეფექტები რომ არის, ის თვით მე განვაცხადე მოხსენების დროს. რაც შეეხება იმას, რომ დენიკინელებს თამბაქოს გატანისათვის არ ეცალათ, ისინი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდენო, ეს არ არის მართალი. საქმე სწორედ ისეა ხოლმე, რომ ჯერ ძვირფას საქონლის გატანაზე ზრუნავენ, შემდეგ კი ცოლშვილი გაყავთ. თუ ჩვენ თამბაქოზე დაეცა ფასი საზღვარ გარეთ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვის თამბაქოზედაც არ დაეცა. თამბაქოზე საერთოდ დაეცა ფასებიო.

დეკრეტი მიღებულ იქნა.

**განგრძობა მსჯელობისა სახელმწიფოს 1919—1920 წლის ბიუჯეტის შესახებ.**

**შენგელაია.** ამ სამი წლის განმავლობაში პირველათ გვეძლევა შემთხვევა დავსვათ საკითხი შემოსავალ-გასავლის შესახებ. ბურჟუაზიული პარლამენტები წინა რიცხვით ამტკიცებენ ხოლმე ბიუჯეტს. საბიუჯეტო უფლება ეს არის ალვირი, რომლითაც იმორჩილებს საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელ ორგანოს. დღეს მთავრობას წარმოდგენილი აქვს ძველი დახარჯული კვიტანციები და ითხოვს მის დადასტურებას. ეს ბიუჯეტი არის მეტად თავისებური. არავითარი გეგმა მეურნეობის აქ არ არის. ბიუჯეტი წარმოდგენილ არის სოციალისტურ მთავრობისაგან და გვეგონა სოციალისტური ეკონომიკა იქნებოდა. ნამდვილათ კი არაფერია ამის მსგავსი. არის აქ ლაპარაკი არაპირდაპირ გადასახადებზე: ბაჟებზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის აქ ნათქვამი რაიმე ახალ ლონისძიებაზე. ეკლესიის საჭიროებაზე იხარჯება მილიონობით და ნუთუ ძნელი იყო ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან. ეს ხომ უბრალო უფლებრივი რეფორმა არის, რომელიც დამყარებულია ძალთა განწყობილებაზე და ნუთუ სამღვდელოებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ვერ შესძლეს ეკლესიის გამოყოფა.

ბიუჯეტში ლაპარაკი არის მიწების გაყიდვაზე და ნუ თუ იმ ქვეყანაში, სადაც სივიწროვეა, მიწების გაყიდვაზე შეიძლება ლაპარაკი. (მერე სად ვყიდით იცით). ბიუჯეტში ლაპარაკი არის არა პირდაპირ გადასახადზე ეს არის რეაქციონური ზომა, სოც. დემოკრატიას რომელიც მოექცა მოულოდნელად სახელმწიფოს სათავეში ამი შესაძლებლობის გეზი ჰქონდა. ეს არის ბურჟუაზიული პოლიტიკა ბურზუაზიულ ეკონომიკით, მეორე ბურჟუაზიული პოლიტიკა, სოციალისტურ ეკონომიკით, მესამე სოციალისტური პოლიტიკა, სოციალისტურ ეკონომიკით.

ორატორის აზრით სოციალ-დემოკრატია, როგორც პოლიტიკა ისე ეკონომიკა ბურჟუაზიულია. შემდეგ ორატორის აზრით პირდაპირ გადასახადს გლეხობა არ გადიხდის, რადგანაც არ არის დარწმუნებული, რომ ასი საქმე კეთდება. ბურჟუაზია გადასახადს გადაიტანს მომხმარებელზე და თუ რეპრესიებს მიმართავთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოიწვევს სამოქალაქო ომს, რასაც თქვენ ასე ერიდებითო. მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება ეკონომიურ პოლიტიკის შეცვლით.

უწინ მთავრობა კერძო ინიციატივას ემყარებოდა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა. სპეკულიაციამ და აუტანელ სიძვირემ აიძულა მთავრობა სხვა გზას დასდგომოდა ეს იყო ხანა ნებართვების და ხელშეკრულებისა. შემდეგ მიიღეს მონოპოლია, რაც ვერ გატარდა სათანადოთ ერთად ერთი გზა არის. სოციალისტურმა მთავრობამ სოციალისტური საქმე უნდა აკეთოს. თვით სოციალიზმში არის მაქსიმუმი და მინიმუმი. ჩვენ შევიძლიან მინიმუმი განვახორციოლოთ. საჭიროა მთავრობა ფართოთ ჩაერიოს ეკონომიურ ცხოვრებაში, რომ ვისაც უნარი აქვს მუშაობდეს და ქმნიდეს ღირებულებას. ბოლშევიკებმა რომ ვერ გაატარეს შრომის ბეგარა, ეს იმას არ ნიშნავს რომ იგი არ ვარგოდეს. ბოლშევიკების მეთოდები იყო უვარგისი და ეს არის მიზეზი, რომ იქ შრომის ბეგარა არ განხორციელდა. შემდეგ ორატორი ეხება რა ხარჯთ-აღრიცხვას, აღნიშნავს, რომ მართალია სახელმწიფო კონტროლი არ სდგას სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ მასაც არ უჯერებენ და მის მოთხოვნილებისამებრ ანგარიშებს უწყებები არ უდგენენო.

სიგვიანის გამო შენგელაიას სიტყვის დასრულება გადიაიდო შემდეგ სხდომისათვის.

# საქართველოს ფინანსიურ-ეკონომიური მისია ევროპაში

თანახმად სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებისა საქართველოს ფინანსიურ-ეკონომიური მისია, რომლის სათავეში ფინანსთა მინისტრი კანდელაკი არის, ამ ჟამად იმყოფება ლონდონში, სადაც ხანგრძლივი აუდენციის დროს მას (მისიას) შეძლება ქონდა ესაუბრა ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრ კერზონთან. კანდელაკს ძლიერ კარგად შეხვდენ. ლორდ კერზონმა საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრების გასაცნობად მეტად დიდი ინტერესი გამოიჩინა. კანდელაკმა გააცნო მას საქართველოს რესპუბლიკის არსებული პოლიტიკური, ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა მისი ბუნებრივი სიმდიდრე და სხვ. კანდელაკმა ინახულა აგრეთვე ბრიტანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და კომერციულ ასოციაციის წარმომადგენლები, რომლებმაც საქართველოს მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინეს. მრეწველთა წარმომადგენლების მიწვევით კანდელაკმა ინახულა ლითონის მრეწველობის საშუალო შეფილდი და მანჩესტერი. ინგლისის ყველა გავლენიანმა გაზეთმა აღნიშნა კანდელაკის მიერ ამ რაიონების დათვალიერების ფაქტი და ამასთანავე მათ საქართველოს მისიის წევრების სურათები დაბეჭდეს. ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ ინგლისი მეტად ყურადღებით ეპყრობა საქართველოს. ბრიტანეთის სავაჭრო სამრეწველო წრეებმა ისარგებლეს საქართველოს მისიის ლონდონში ყოფნით, რომ პირველ წყაროებიდან გაეგოთ საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები. თანახმად იმავე სარწმუნო ცნობებისა საქართველოს ფინანსიურ-ეკონომიურ მისიის წევრებმა ინგლისის ვაჭრებთან და მრეწველებთან საქმიანი კავშირის დაჭერა შესძლეს. ამასთანავე გამოირკვა, რომ საქართველოს მთავრობას ინგლისი რამდენიმე მილიონ გირვანქა სტერლინგს კრედიტს გაუხსნის. საერთაშორისო ფინანსიურ წრეებში ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. იმავე წყაროებიდან იტყობინებიან, რომ საქართველოს კომერციულმა აგენტმა მ. ყაუხჩიშვილმა, რომელიც შვეციაში და ნორვეგიაში იმყოფებოდა, ინახულა სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსიური წრეები, რომელთაც განზრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში გამოაგზავნონ საქართველოში თავისი წარმომადგენლები, რათა აქ ჰიდრო-ელექტრონის სადგურები, ასანთისა და სხვ. ქარხნები მოაწყონ. საქართველოს მთავრობა წარმოების მონახევრე იქნება.

# რუსულ-ქართული შერეული

**კომისია სამხედრო გარანტიების შესახებ.**

**ბათუმი.** სამხედრო გარანტიების შესახებ რუსულ-ქართულ შერეულ კომისიის სხდომა შესდგა განსაკუთრებულ კომისრის კანცელარიის ბინაზე. განიხილეს საკითხი ბათომში მყოფ მოხალისეთა პირადი შემადგენლობისა და ქონების გადაცემის შესახებ. სხდომაზე მყოფმა ბათომის ოლქის განსაკუთრებულმა კომისარმა ჩხიკვიშვილმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც აღნიშნა, რომ ბათომის დატოვების წინ მოხალისეებმა მთელი თავისი ქონება თან წაიღესო. განსაკუთრებულმა კომისარმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით, ყველანი ვინც კი მოხალისეებს ეკუთვნოდენ, უნდა გამოცხადებულიყვნენ სარეგისტრაციოდ. მაგრამ რეგისტრაციაზე არავინ გამოცხადდა. დააკავეს 12 კაცი, რომელთა შესახებ ეჭვი იყო, რომ ისინი მოხალისეებს ეკუთვნოდენ. დაჭერა გამოწვეული იყო მათი საზიანო მოქმედებით, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. პირად შემადგენლობის საკითხის შესახებ გადაწყდა მისი განხილვის იმ დრომდე გადადება, სანამ რუსეთის დელეგაცია დაკავებულ პირებთან რაიმე დამოკიდებულებას არ დაიჭერს. ქონების საკითხის შესახებ რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ რუზერმა განაცხადა: რუსეთის დელეგაციას ჯერ-ჯეროპით არა აქვს კონკრეტულად სრული ცნობები ქონების შესახებ, მაგრამ მას შეუძლია ორ ობიექტზე მითითება: სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებისა და „სანალმო ეზოს“ ქონების საკითხზე, პრინციპიალურად ამ საკითხებს ტფილისში დაბრუნების შემდეგ განიხილავენ. ამასთანავე გადასწყდა ამ ობიექტების გამოკვლევა, რისთვისაც ორივე კომისიის მხრით ორ-ორი წევრი გამოჰყვეს. ივლისის 23 კომისიამ დაათვალიერა სანალმო ეზო და სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილება.

# სატარიფო პალატაში.

ხუთშაბათს, ივლ. 23 შესდგა სატარიფო პალატის სხდომა, რომელზედაც განიხილეს შემდეგი საკითხები, 1) მეფაბრიკე და მექარხნეთა საზოგადოების გამგეობაში მომხდარ ახალი არჩევნების გამო პალატის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ. მწარმოებელთაგან პალატაში გამოგზავნეს ახალი წარმომადგენლები. ე. სეილანოვი და მ. ლიბკინდი, 2) მუშებისა და მოსამსახურეებისადმი ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ, რომელიც გამოწვეულია ცხოვრების გაძვირებით, უკამათოდ დაადგინეს მიიღონ ინსტრუქცია ერთდროული დახმარების შესახებ, 3) იმ მუშების შესახებ, რომელნიც მომარაგების ფონდიდან არ სარგებლობენ, დაადგინეს: იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელნიც არ სარგებლობენ მომარაგების ფონდიდან დამქირავებელმა უნდა მისცეს განსაზღვრულ ხელფასის გარდა განსაკუთრებული ჯილდო სატარიფო პალატის მიერ დადგენილ ფასის 25% რაოდენობით. ისე. რომ ეს ჯილდო არ იყოს დღეში 30 მან. ნაკლები და 60 მან. მეტი ან და თვეში არა ნაკლებ 750 მან. და არა უმეტეს 1.500 მან. ეს დადგენილება ვრცელდება იმ ადგილებში, სადაც მომარაგების ფონდის განყოფილება მოქმედებს.

# დამფუძნებელ კრებაში

**ფოთის რადიო-სადგური**

დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ მოიწონა დეკრეტის პროექტი, რომელიც შეეხება ფოთის სანაპირო რადიო სადგურის ახალი შენობის ასაგებად საჭირო თანხის გაღებას.

**უპროცენტო სესხი კახ.-რკინის გზას**

დამფ. კრების გზათა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიებმა მოიწონა გზათა მინისტრის მიერ წარმოდგენილ დეკრეტის პროექტი რომელიც შეეხება კახეთის რკინის გზისათვის 10 მილ. უპროცენტო სესხის სამი წლის ვადით მიცემას.

**გოგირდის აბანოები**

მიწ.-მოქმედების მინისტრის წარდგენის თანახმად საბიუჯ.-საფინ. კომისიამ მოიწონა დეკრეტის პროექტი, რომელიც შეეხება ფულის გადადებას ტფილისის გოგირდის აბანოთა მეპატრონეებისათვის ჩამორთმეულ ქონების სამაგიეროდ.

# მიმართვა საერთაშორისო პროფ. კავშ. ბიუროსადმი

(დასასრული).

ამისთანა ცნობებით კომუნისტური გაზეთები ამხედრებენ მეზობელი ერების მშრომელ ხალხს, თავდასასხმელათ ამზადებენ მის საზოგადოებრივ აზრს და მისი შეუგნებელი თანაგრძნობით უნდათ ისარგებლონ მომავალ გამოლაშქრებაში ჩვენი დემოკრატიული წესწყობილების შესამუსრავად.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა რუსეთში ამ პარტიის დიქტატურა ეწინააღმდეგება უმრავლესობის სურვილს და ყველაზე უფრო შემაწუხებელია ის თვითონ მუშათა კლასისათვის. იქაურ მუშათა კლასს დღევანდელ პირობებში ეკარგება ფიზიკური და ზნეობრივი ძალა, ხელიდან ეცლება ის, რაც საჭიროა სოციალიზმისათვის საბრძოლველათ. ამავე მდგომარეობაში ჩააყენებს ჩვენ მუშათა

კლასს აქ ბოლშევიკების გამგეობა. ეს ბოლოს მოუღებს ამ ორი წლის აღმაშენობლივ მუშაობას, შიმშილს და სიკვდილს შემოიტანს ჩვენ პატარა ქვეყანაში.

საქართველოს მშრომელ ხალხს ეს კარგათ აქვს გათვალისწინებული და ის მოითხოვს პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებას. ჩვენ მუშა-გლეხობას არა აქვს სადაო რუსეთის, აზერბეიჯანის და სხვა მეზობელი ქვეყნების მშრომელ ხალხთან. ის უარჰყოფს მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის დიქტატურას.

დანარჩენ კუთხეებს არ შეეძლოთ გამკლავებოდენ და ვერც გაუმკლავდენ ამ პარტიის „წითელ რაზმებს". ციმბირში, უკრაინაში, დონის ოლქში, ყუბანში და სხვაგან არ არსებობდენ ნამდვილი დემოკრატიული მთავრობები, იქაური მშრომელი ხალხი ამიტომ ვერ იჩენდა საკმაო ძალას ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ბოლშევიკები ადვილად იპყრობდენ ამ კუთხეებს.

საქართველო ერთად ერთი კუთხეა, რომელმაც აქტიური წინააღმდეგობა გაუწია ჩვენ კარზე მომდგარ ბოლშევიკებს. თავდაცვით ომში ჩვენმა მუშათა კლასმა და გლეხობამ გამოიჩინა არა ჩვეულებრივი სიმტკიცე და ერთსულოვნება. ამავე იარაღით ის შეხვდება ახალ მოსალოდნელ საფრთხეს და თავზე არ მოიხვევს სხვის ნებას ძალდატანებით მოტანილს. საქართველოს მუშათა კლასი თანაგრძნობას ეძებს ევროპის მუშათა კლასში და თავისი პროფეს. კავშირების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის პირით მიმართავს საერთაშორისო ბიუროს იმ იმედით, რომ ის გამოგზავნის მუშათა კომისიას ადგილობრივი მდგომარეობის შესასწავლად და ბოლშევიკური პარტიის ჩვენთან დამოკიდებულების გასაცნობათ.

ამ კომისიის საშუალებით საზღვარ გარეთელ ამხანაგებს შეძლება მიეცემათ დააფასონ ბოლშევიკური და დემოკრატიული მართვა-გამგეობა, ნახონ ერთის უვარგისობა და მეორეს უპირატესობა. ეს იქნება საერთაშორისო მუშათა კლასის მხრივ ის ზნეობრივი დახმარება, რომელიც დღეს სჭირდება თავის უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს მუშადა კლასს.

ამხანაგური სალამით, საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭოთა **აღმასრულებელი კომიტეტი.**

# უცხოეთი

### ნირმერი რუსეთის შესახებ.

„ტელეგრაფში პროფესორი ნირმერი ეხება რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების საკითხს და ამბობს: დრო არის თვალი გამოვახილოთ და ფხიზლათ შევაფასოთ რუსეთის თანამედროვე მდგომარეობაო. რუსეთი დასავლეთს ვერ მისცემს ვერავითარ ნედლ მასალასა და რაიმე ნაყოფსო. რუსეთი კი არა-უკრაინაა დასავლეთ ევროპისათვის საჭირო. წინეთაც რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს შემოქონდა ევროპაში ნედლი მასალაო. უკრაინის 9 გუბერნიას, რომელსაც ევროპის რუსეთის მხოლოდ 1/6 ნაწილი უჭირავს, წინეთ რუსეთის ხორბლისა და ნედლი მასალის 44% გაჰქონდაო. ამიტომ უკრაინას რომ მივსცეთ მიწად-მოქმედებისათვის საჭირო მანქანები, იგი სულ მალე ფეხზე დადგება, მით უმეტეს, რომ საქონლის გატანა მისთვის შესაძლებელი იქნება შავი ზღვით. სასურველია, ათავებს თავის წერილს ნირმერი, რომ ხალხთა ლიგის საბჭომ შეადგინოს საგანგებო კომისია უკრაინის მდგომარეობის გამოსარკვევადო.

### უკრაინის ჯარის რეორგანიზაცია.

ვენაში მყოფი უკრაინული გაზ. „უკრაინსკი პრაპორი" იუწყება უკრაინაში საფრანგეთის სამხედრო მისიის მისვლის შესახებ. მისიის სათავეში სდგას გენ. მასსენე, რომელსაც მინდობილი აქვს უკრაინის ჯარის რეორგანიზაცია. ჯარის რეორგანიზაცია უკვე მოხდა. ჯარი შევსებულია მოხალისეებით. სამხედრო მინისტრის ამხანაგათ დაინიშნა გენ. კუდრიავცევი.

### პოლონეთში.

პოლონეთის მთავრობამ 20 წლის ვადით ამერიკაში 5%-იანი 55 მილიონი დოლარი სესხი აიღო. პოლონეთის ტერიტორიაზე ამ ჟამად ბევრ ადგილას გაჰყავთ რკინის გზები. სხვათა შორის აკეთებენ შემოკლებულ ხაზს ლოძსა და დანციგს შორის. განზრახულია აგრეთვე რკინის გზის გაყვანა კრაკოვიდან კარპატებისაკენ.

### წითელი წიგნი.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა „წითელი წიგნი", რომელშიაც მოყვანილია ყველა ის დოკუმენტი და მიწერმოწერა, რომელიც არსებობდა რუსეთსა და პოლონეთს შორის 1918—20 წლის განმავლობაში. წინასიტყვაობა დაწერილია ჩიჩერინის მიერ. იგი ამბობს წიგნის მიზანი არის გააცნოს ფართო საზოგადოებას ისტორია რუსეთსა და პოლონეთის შორის არსებულ პოლიტიკური დამოკიდებულებისაო. ჩიჩერინი სწერს: საბჭოთა მთავრობა თავის პრინციპებს და ძალა უფლებას არავის არ ახვევს თავზე, ვინაიდან რუსეთი ყოველ დროს თვითგამორკვევის უფლებას აღიარებს. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დროსაც ტროცკიმ საქვეყნოდ განაცხადა, რომ რუსეთი სცნობს პოლონეთის დამოუკიდებლობას და ამიტომ ამ ჟამად არსებულ ომში ხელი დაბანილი აქვსო და სხვ.

### ამერიკაში

სენატორების კრებაზე მაკ. გაუმბერმა დემოკრატიულ პარტიის სახელით მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ვილსონის მეოხებით შეერთებულმა შტატებმა დაკარგეს ის უპირველესი როლი, რომელსაც ამერიკა ომის დროს თამაშობდაო. გუმბერი ემხრობა მოკავშირეთა დაახლოვების აზრს, რომ ამ გზით იქნეს მოწესრიგებული თანამედროვე ცხოვრების რთული საკითხები. ევროპის აღდგენა ძნელი იქნება, თუ ამერიკა გვერდზე დარჩა ვინაიდან მხოლოდ ამერიკას შეუძლია იმ ქვეყნების გამოკვება, რომლებიც ამ ჟამად დიდ გაჭირვებას განიცდიან. ამერიკამ უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს ხალხთა ლიგის მუშაობაში. სენატორმა ხიჩ კუკმა განაცხადა, რომ ამერიკა არასდროს არ აპატიებს ვილსონს იმ პოლიტიკას, რომელსაც იგი ზავის შეკვრის დროს აწარმოებდაო.

### ტრანსპორტის მოწყობა

სამინისტროს ნებართვით მწარმოებელთა კავშირმა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება განაახლა. უკვე დატვირთულია საგანგებო გემი შვეციის საქონლით, უმთავრესად კი სამეურნეო ინსტრუმენტებით და მანქანებით. განზრახულია ყოველ კვირაში ასეთი ტრანსპორტის გაგზავნა.

### შვეიცარია და ჰოლანდია

შვეიცარიამ და ჰოლანდიამ უმაღლეს საბჭოს განცხადება გაუკეთა იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მათ საბჭოთა რუსეთში ნახეს.

### საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

„დეილი ტელეგრაფი" იუწყება თანახმად კენიგსბერგიდან მოსულ ცნობებისა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება მზადდება. საგრძნობი რაოდენობის ჯარია კენიგსბერგის გარშემო თავმოყრილიო. ჯარის მატერიალურად უზრუნველყოფა რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეს ა. გუჩკოვს აქვს დაკისრებულიო.

### შვეიცარიაში

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება შვეიცარიაში ამ უკანასკნელ ხანებშ 20 პროც. გაიაფდა, შედარებით 1915 წელთან იგი მაინც 220 პროც.-ით არის გაძვირებული.

# ახალი ამბები

**საქართველოს მუშათა დელეგაცია.** ხუთშაბათს ივლ. 22 საქართველოს პროფ. კავშირთა აღმას. კომიტეტის და თფილისის პროფ. კავშირს. სეკრეტარიატის გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი რუსეთში და საბჭოთა ადერბაიჯანში საქართ. პროლეტარიატის სახელით მუშათა დელეგაციის გაგზავნის შესახებ. ეს დელეგაცია გაემგზავრება ადგილობრივ მდგომარეობის გასაცნობათ გააცნობს რუსეთის პროლეტარიატს საქართველოში არსებულ მდგომარეობას. საბჭომ აუცილებლად იცნო ასეთი დელეგაციის გაგზავნა. დელეგაციაში განზრახულია შევიდეს 10 კაცი. ამ დადგენილების შესახებ უნდა ეცნობოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ამავე დროს დაავალოს აღმასრულებელ კომიტეტს მოიწვიოს სპეციალური კონფერენცია ცენტრ. საბჭოსა და ცალკე კავშირებისა დელეგაციის წევრების ასარჩევათ.

22 ივლისს ბათუმში გაემგზავრნენ სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი ი. ა. სმირნოვი და ვიცე-დირექტორი დ. ბ. ცინცაძე, რომელთაც დავალებული აქვთ ადგილობრივ გაეცნონ სახელმწიფო კონტროლის მონაწილეობას მთავრობისადმი ქონების და დაწესებულებათა გადაცემაში და ბათუმისა და ბათუმის მხარისათვის კონტროლის განყოფილების მოწყობის საკითხის გამორკვევა.

**თათბირი ვალიუტის შესახებ.** ივლისის 23 პროფ. ს. ავალიანის თავმჯდომარეობით ფინანსთა მინისტრის საბჭოს სასწრაფო სხდომა შესდგა. კრებას დაესწრენ მომარაგების მინისტრის ამხანაგი ჰავჰანიძე და საგანგებოდ მოწვეულნი პირნი. სხდომა მოწვეული იყო ვალიუტის საკითხის განსახილველად. დადგენილია საკითხის სირთულის გამო დაინიშნოს რამოდენიმე სხდომა. შემდეგი სხდომა ივლისის 24 იყო დანიშნული.

**გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორი დ. ჰიჰინაძე მძიმე ავად გახდა. ამიტომ მიწად მოქმედების და გზათა მიმოსვლის მინისტრმა ნ. ხომერიკმა გასცა ბრძანება, რომლის ძალით გზათა მინისტრის მოვალეობის ასრულება დაევალა მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგს ი. მალანიას და დირექტორის მოვალეობა კი ა. კანდელაკს.

**ბაჟი შემოსატან საქონელზე.** სავაჭრო-სამრეწველო პალატა შეუდგა შემოსატან საქონელზე დაწესებულ ბაჟის გადასინჯვას. ამასთანავე განზრახულია შეადგინონ სია იმ საქონლებისა, რომლებიც ფუფუნების საგნებს ეკუთვნის. ალბათ ამგვარ საქონლის შემოტანას აკრძალვენ.

**სავაჭრო სამრეწველო პალატაში.** სავაჭრო სამრეწ. პალატაში შემოვიდა მრავალი შეკითხვა ამერიკულ, გერმანულ, იტალიურ და სხვ. ფირმებისაგან იმის შესახებ, თუ რა საქონელი სჭირდება საქართველოს. ეს მწარმოებელი ფირმები წინადადებას იძლევიან, რომ ისინი დაუყონებლივ შეუდგებიან სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ქიმიურ-ფარმაცევტიულ საქონლისა და სხვ. შემოტანას.

**მიწის ძვრა გორში.** გორის სეისმოგრაფმა უკანასკნელ ხანებში აღნიშნა შემდეგი მიწის ძვრანი: ივლ. 9, 16 საათ. 41 წუთ. და 40 წამზე მიწას ემჩნეობა ოდნავი დაძვრა დასავლეთისაკენ. ეს გაგრძელდა 2 წუთს, შემდეგ 17 საათ. 6 წუთ. 16 წამ. მიწა ირყა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ივლ. 20 მიწა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით საგრძნობლათ იძრა. იმავე დღეს 3 საათ. 38 წუთ. და 24 წამ. მიწა მეორეთ, მაგრამ უფრო სუსტათ იძრა.

**საერობო დაწესებულებათა მუშაობა.** ერობათა კავშირის კომიტეტის საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქუთაისის, ლეჩხუმის და რაჭის სამაზრო ერობებისა და თემების მოქმედებასთან გაცნობა, ტფილისში დაბრუნდა. კომისიის ცნობით საერობო მუშაობა გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. ლეჩხუმის მაზრაში უკვე გათავდა თემის ხმოსანთა არჩევნები, თავდება აგრეთვე რაჭის მაზრაშიც. ქუთაისის მაზრაში ყველგან მოქმედებს საერობო წვრილი ერთეულები. ზოგიერთ ადგილს გარდა ძალიან მწვავეთ არა სდგას სასურსათო საკითხი, რადგანაც ხორბლეულების თადარიგი საკმარო არის, ამიტომ ბევრს ადგილს ხორბლეულებაზე ფასი თანდათან ეცემა.

**საბინაო განყოფილების მოქმედების შეწყვეტა.** ტფილისის ქალაქის თვითმართველობა აცხადებს 1) თანახმად ივლისის 20 თვითმართველობის დადგენილებისა შეწყვეტილია საბჭოს საბინაო განყოფილების მოქმედება დროებით, სანამ გამოცემული არ იქნება ახალი საბინაო კანონები. 2) შეწყვეტილია ახალი განცხადების მიღება, 3) შეჩერებულია ყველა საქმის გარჩევა, რომელიც საბინაო განყოფილებაში იმყოფება. 4) სახელმწიფოსა და საზოგადო ინტერესებთან დაკავშირებულ ინტერესების დასაკმაყოფილებლათ ყველა თავისუფალი ბინა ქალაქის განკარგულებაში გადადის. ასეთ ბინების შესახებ ხალხის პატრონებმა, ან ბინის დამქირავებლებმა, ან უშუამავლოთ, ან სათანადო კომისარიატის საშუალებით უნდა შეიტანონ ცნობა ქალაქის საბჭოში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ ისარგებლებს აღნიშნულ ბინებით, განცხადების მიცემიდან 10 დღის განმავლობაში, მაშინ ეს ბინები მეპატრონეთა განკარგულებაში გადავა.

**ქართული მუსიკალური საზოგადოება.** ქართულ სამუსიკო საზოგადოების და სამუსიკო კოლეგიის შეერთებულ სხდომაზე გადაწყდა სექტემბრიდან გახსნან ბათომში საზოგადოების განყოფილება და სამუსიკო შკოლა. გადაწყვეტილია ამ მიზნისათვის გაგზავნონ ბათომში საზოგადოების ერთი წევრი. ამავე კრებაზე გადაწყდა გამოუცხადონ მადლობა ბათომის სავაჭრო- სამრეწველო პალატას საზოგადოების სასარგებლოდ ნახ. მილ. მან. შეწირვის გამო, ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ გადასწყვიტა დასასვენებლად თავის ხარჯზე აბასთუმანში გაგზავნოს კომპოზიტორები და მემუსიკეები. ამ მიზნისათვის განათლების სამინისტრომ აბასთუმნის სასახლეში რამდენიმე ოთახი დაუთმო საზოგადოებას. ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ დაადგინა აღმოუჩინოს ფინანსიური დახმარება ქუთაისისა და თელავის განყოფილებებს.

**ბოროტ-მოქმედებანი სასურსათო ბარათებით.** სასურსათო ბარათებით ბოროტ-მოქმედების გამო სატარიფო პალატამ დაადგინა: 1) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელნიც დამნაშავენი აღმოჩნდებიან ამ ბოროტ-მოქმედებაში, პრეზიდიუმის დადგენილებით განსაზღვრულ ვადით მოესპობათ უფლება სასურსათო ბარათებით სარგებლობისა და თუ ეს ამბავი კიდევ გამეორდა, მაშინ იმათ დაითხოვენ, 2) იმ დამქირავებელთა, რომელნიც ამ ბოროტ-მოქმედების მონაწილენი აღმოჩნდებიან და რომელნიც თავის დროზე არ შეატყობინებენ მომარაგების ფონდის რწმუნებულს დათხოვნილ მუშებისა და გამორიცხულ მოსამსახურეების შესახებ და ან ყალბ ცნობებს წარმოადგენენ მოსამსახურეთა რიცხვის შესახებ, გადაახდევინებენ ზარალს, რომელიც მათ მიაყენეს მომარაგების ფონდს და 20 ათას მანეთამდე ჯარიმას დაადებენ.

**შეწირულება ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს.** ქართულ სააქციონერო საზოგადოების „ოქროს ვერძის" გამგეობამ ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს აცნობა, რომ საზოგადოებამ ფრონტის დამხმარე კომიტეტს 300,000 მანეთი შესწირაო.

**მოსავალი რაჭა - ლეჩხუმში.** ერობათა კავშირის კომიტეტის ცნობით, რომელიც ეს არის ეხლა დაბრუნდა ტფილისში, ქერი უკვე თითქმის ყველგან მოუწევიათ, გარდა ძალიან მაღალი ადგილებისა. დაბლობებში მოწეულია აგრეთვე პური. რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში გლეხები მომავალ კვირაში შეუდგებიან პურის მოწევას. მოსავალი ყველგან კარგია. სეტყვით დაზიანებულია რაჭის მხოლოდ ორი საზოგადოების ზოგიერთი ადგილი. სეტყვითა და წყალდიდობით დაზიანდა აგრეთვე ოკრიბის რაიონის დაბლობ ადგილებზე მდებარე ნათესები. კომისია აღნიშნავს, რომ ერთერთ დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხს ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში წარმოადგენს გზის საკითხიო. ამ საკითხს მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

# დეპეშები

### (საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

**მოსკოვი.** ივლისის 23 ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**სამხედრო ცნობა.** ივლ. 23. ივლისის 19 ჩვენ გოროდონი ავიღეთ. ჩვენმა ჯარმა მდ. ნემანზე გადასვლა დაიწყო. დაბ ა სკიდელის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი გაფანტა. სლონიმის რაიონში ჩვენ ბრძოლით გადავედით მდ. შარაზე; წამოვიყვანეთ 150 ტყვე. პინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. იასელდის ხაზზე იბრძვის. დუბნოს რაიონში მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა პოლონელების დიდი ნაწილი დაამარცხა, წამოიყვანა ტყვეები, ხელთ იგდო ტყვიის მფრქვეველები, თოფები და სხვა ქონება.

**მოსკოვი,** ივლ. 22. დღეს საღამოს 11 საათზე კრემლის სასახლის დარბაზში მოსკოვში პირველად ზეიმით გაიხსნა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის პირველი სხდომა. ყოფილი სამეფო დარბაზი გავსებულია. ყრილობის დელეგატებს უჭირავთ დარბაზის ნახევარი, მოხსენების გასაკეთებლად პირველი სიტყვა მისცეს ზინოვიევს. რუმინეთის დიპლომატიური ინტრიგები არ სწყდება. ამავე დროს ამზადებენ ფინეთსაც. ივლისის 22 უნდა გაიხსნას ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია, სადაც ანტანტა უსათუოდ შეეცდება მღვრიე წყალში თევზის დაჭერას. ინტრიგას აწარმოებენ გერმანიაშიც. გერმანიის შავრაზმელები ძლიერ მღელვარებენ, რომელიც გამოწვეულია ვითომ „ბოლშევიკურ საშიშროებით" საბჭოთა ჯარის მოახლოების გამო. სდგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სამხედრო დახმარებას გაუწევს პოლონეთს ანტანტა. რომ საფრანგეთის ჯარი ვერ გადაარჩენს პოლონეთს, ამას მიხვდება არითმეტიკის ოთხი მოქმედების ყოველი მცოდნე. ჯარი ჰაერში ვერ გაფრინდება, თავის თავად ცხადია, რომ საოპერაციო ბაზათ ჩვენს წინააღმდეგ უნდა იქნეს გერმანია. რევოლიუციონური „სენი", რომელიც ხრწნის ბურჟუაზიულ გერმანიას, ემუქრება საფრანგეთის ჯარსაც. საფრანგეთის ჯარის გერმანიის ტერიტორიაზე ყოფნამ უფრო აალელვა მუშათა მასა. აირჩევს, თუ არა ანტანტა თავის ბაზათ გერმანიას, ამითი მდგომარეობა არ შეიცვლებაო. ეკონომიური ცხოვრება გვიჩვენებს, რომ თუ ანტანტა შეტევით ნაბიჯს გადასდგამს რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ მოულოდნელ სურ-

პრიზის თავიდან ასაცდენათ საფრანგეთ-გერმანიის კოალიციის უზრუნველსაყოფათ ანტანტა იძულებული იქნება გერმანიის მიმართ თვალსაჩინო დათმობაზე წავიდეს.

ლონდონი, ივლ. 16. ტოკიოდან მოსული ცნობით იაპონიის ეკონომიური კრიზისი თანდათან იზრდება. აქ ძლიერი სიძვირეა.

**გერმანული პრესა.**

საქსონიის მთავრობა იმუშავებს კანონპროექტს, რომელიც სახელმწიფოს ნებას აძლევს მოახდინოს კერძო მ.ღაროების ნაციონალიზაცია იმ პირობით, რომ კერძო მესაკუთრეებს მ.ნ ზარალი აუნაზღაუროს.

**ფრანგული პრესა.**

საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობანი პოლონეთში მისიას გზავნიან. საფრანგეთის მისიაში შედიან: შეერთებული შტატის მყოფი ინგლისის ელჩი ჟიუსსერანი და გენერალი ვეილანდი.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ-სიმონსმა, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მას ეჭვი შედიოდა გერმანიის ექსპერტების გამოანგარიშების სინამდვილეში, რომელთაც არ მიუღიათ მხედველობაში გერმანიის ლიგნიტის უტილიზაცია. სიმონსმა აღიარა რურის ნახშირის არსებობა იმ ადგილებში, რომელიც არ არის აღნიშნული ნახშირის განაწილების ბიუროს გეგმაში.

ლონდონის კორესპონდენტი „ეკო-დე პარის“ აუწყებს: ბოლშევიკებმა დაიკავეს ბელოსტროვი და ვარშავის მიმართულებით 50 კილომეტრზე წინ წაიწიეს.

ბეირუთიდან მოსული ცნობის თანახმად ხასბაის მცხოვრებლები აჯანყდენ. მათ გარეკეს ქემალისტების მთავრობის წარმომდგენლები და საფრანგეთის დროშა ააფრიალეს.

## განცხადებანი

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი, კონსტანტინე ალექსის ძე ჭელიძის სახელზე, მიღებული სოფ. ბაჭ.ს (რაჭა) წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1938 3—3

დაიკარგა პასპორტი № 1876 ანასტასია მაქსიმეს ასული პადგორნიას სახელზე, მიღებული ნოვოროსიისკში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1917 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი № 4073 პლეხანოვის ქუჩაზე № 130 მდებარე სახლის, ეკუთვნის კონსტანტინე ეჯუბიანს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1903 3—3

დაიკარგა პასპორტი ისაკ ზაქარიას ძე მირველოვის სახელზე, მიღებული თელავის ქალაქის თვითმართველობიდან. და ვაჭრობის ნებართვა, მიღებული იქიდანვე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1922 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 152 აგრეფინა ვლადიმერის ასული სერგიენკოს სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1932 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 62 აბრამ გიორგის ძე შარმადინოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1933 3-2

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე ლეონიდის ასული ევდაკიმოვის სახლზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1935 3-2

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში მიხეილ ესტატეს ძე მორჩილაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ვალენტინა ნიკოლოზის ასული მორჩილაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1917 წ. უკვალოდ დაიკარგა 1918 წ. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ვალენტინა ნიკოლოზის ასულის მორჩილაძის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ. საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა ორი თვის განმავლობაში. 1901 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ტრიტოტოვის შესახვევში № 4 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გეურქ მოსესოვს, გაუქმებულათ აითვალოს. (უფ.) 3—2.

თელავის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მიხეილ ნიკოლოზის ძის სატურქინაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სატურქინაშვილის ქონებაზედ. სამ. კან. კრებ. 1 ნაწ. X ტ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 765 1—1

თანახმად ტფილისის II უბნის მომრიგებელ მოსამართლის მიერ დადგენილებისა 20 ივლისიდან 1920 წ. ვექილობა მიცემული დიმიტრი ნიკოლოზის ძის ჭავჭავაძის სახელზე ტფილისის ნოტარიუსის მიხეილ ლავრენტის ძის ქართველიშვილის კანტორიდან 9 ნოემბერს 1913 წელს № 13131, გაუქმებულია. 1931. 1—1

ქ. ტფილისის მე15-ტე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული პეტრე კონსტანტინეს ძე გეგეჭკორის მემკვიდრეებს, მანაცხადონ 1241 მუხ. X ტ. სამოქალ. კან. დაწესებულ ვადაში თავიანთი უფლება ზემოხსენებულ გეგეჭკორის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 1946 1—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიხეილ ალექსანდრეს ძე შიროკოვის სახელზე, მიღებული სოხუმის კომისარიატიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3

დაიკარგა მოწმობა № 5456 მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საექიმო ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტის დავით ვლადიმერის ძე კაპანაძის სახელობაზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1924 3—

დაიკარგა პასპორტი მაგომედ გაშიმ ოღლის სახელზე, მიღებული დაღესტანის ოლქის კაზა კუმუხის სამილიციო ნაწილიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1948 3—2

დაიკარგა ტფ. რეალური სასწავლებლის დამთავრების მოწმობა პავლე მაცნიევის სახელზე, მიღებული 1905 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1950 3—2

დაიკარგა პასპორტი დანიელ გრიგოლის მელნიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1918 წ. გაუქმებულად. ჩაითვალოს. 951 3—2

ფაშა (იგივე ბართომილო) თათუზას ძე ტერ გაბრიელოვი აუქმებს, ვექილობას მიცემულს მის მიერ გეურქა (იგივე კონსტანტინე) არტემას ძე ალიხანოვისადმი, აღნიშნულის ტფ. ნოტარიუსი სტრახოვთან 1919 წ. ივლისის 23-ს რეესტრით № 5470. 1945 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი გოგოლის ქ. № 19 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ტულმინს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1939 3—2

დაიკარგა ტფ. პირველი კერძო ლომბარდის ბარათი № 86430 1000 მან. ღირებულების. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1941 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3528 არტემი გასპარის ძე ავეტიკოვის სახელზე, მიღებული ეკატერინოდარში სომხების ნაციონალურ საბჭოდან 1918 წ. თებერვლის 28-ს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1942 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ყიფიანის ქუჩაზე № 48 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მენინს. გაუქმებულად ჩაითვალოს 1947 3—2

დაიკარგა „ვიბლეი-სკოტის“ სისტემის რევოლვერის № 58/37 ტარების ნებართვა, მიღებული აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისარისგან, მოწმობა მიღებული სოხუმის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, მოწმობა მიღებული სოხუმის თვითმართველობისგან და სხვა საჭირო საბუთები კლავდი იასონის ძე ცუცქირიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1906 3—3

დაიკარგა ტრამვაით უფასოთ მიმოსვლის ბილეთი № 215 სურათით მარტიონ ვასილის ძე ნიშნიანიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1952 3—2

დაიკარგა ივანე სოფრომის ძე ტყეშელაშვილის მიერ დგმური ინჟენერი გრიგოლ გიორგის ძე გეგეჭკორისადმი მიცემული ელწერილები, ბინის ქირის გადახდის შესახებ. 1918 წ. მაისიდან 1920 წ. მაისამდე. პოვნელს ვთხოვთ წარმოადგინოს გუდიაშვილის ქუჩა № 5. 1927 3—2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 14 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა შესრულებული 22 მაისს 1920 წ. სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქალ. სოხუმის მცხოვ. მარიამ პავლეს ასულმა დეკლეიზმა მიჰყიდა 4000 მ. ქ. სოხუმის მცხოვ. აქსენტი პეტრეს ძე ბერიძეს ნაწილი ორი თანაზღვარი მიწის ნაჭერისა შენობებით, მდებარე ქ. სოხუმში, № 62 და 71, ზომით 367 ოთხკ. საჟ.

გადახდილია: სიმტკიცის 160 მ., მთავარი ამონაწერი 40 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 766 1—1

თავმჯდომარე ტფილისის საოლქო სასამართლოსი, თანახმად ნოტარიალური დებულების დროებით წესის მე-10 მუხლისა, იწვევს პირთ, მსურველთ დაიჭირონ ქ. სიღნაღში — უმცროსი ნოტარიუსის თანამდებობა. მსურველნი მოვალენი არიან შემოიტანონ სათანადო თხოვნა შესაფერ დოკუმენტებით; ვინც მათგანი არ ირიცხება ტფილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიუსად და არა აქვს მოწმობა შესაფერი გამოცდის ჩაბარებისა, მიცემული აღნიშნულ სასამართლოს მიერ, უნდა გამოცხადდეს სასამართლოში ამა წლის 16 აგვისტოს დილის 12 საათზე შესაფერ გამოცდაზე- თანახმად რესპუბლიკის 1918 წლის წ. 1-ლ ოქტომბრის კანონისა, მთხოვნელთათვის საჭიროა ცოდნა სახელმწიფო ენისა იმდენათ, რომ გამოცდის დროს მათ შესძლონ ქართულ ენაზე აქტის შედგენა და საქმის წარმოება, ამისათვის ამ საგანზე გამოცდა სავალდებულოა იმათთვინაც, ვინც ირიცხება ნოტარიუსად ტფილისის ოლქში. 764 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 16 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა შესრულებული 11 მაის 1929 წ. სოხუმის ნოტარიუსის ზატვორნიცკის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვ. ოლღა ილია ხარიტოპულოს ასულმა მიჰყიდა 30,000 მ. ქ. სოხუმის მცხ. ეფემია გიორგის ასულს საფიანოვას მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქალ. სოხუმში, მორსკაია ქ,. უბ. ლიტ. „X“, № 2, ზომით 180 ოთხკ. საჟ.

გადახდილია: სიმტკიცის 1200 მ. მთავარი ამონაწერი 300 მან. ღირებულებას საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 767 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარისი აცხადებს, რომ 4 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა შესრულებული 14 მაისს 1920 წ. სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხ. ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიქოვანმა მიჰყიდა 250,000 მ, ქ. სოხუმის მცხ. დანიელ მინაშეს ძე პიპისიმედოვს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. სოხუმში, კვ. ლიტ. „დ“, № 3, ზომით 195,075 ოთხკ. საჟ.

გადახდილია: სიმტკიცის 10,000 მ. მთავარი ამონაწერი 2500 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 768 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 9 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა შესრულებული სოხუმის ნოტარიუსის ზატვორნიცკის მიერ 26 მაისს 1920 წ. ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხ. ივანე პეტრეს ძე ოსპოდოვმა მიჰყიდა 300,000 მან. ქ. სოხუმის მცხ. იოსებ ბეგოეს ძე ადამიას ნაწილი მიწის ნაჭერისა შენობებით, მდებარე ქ. სოხუმში, კოლიუბაკინის ქ., უბ. ლიტ. „ი“, № 9, ზომით 170 ოთხკ. საჟ.

გადახდილია: სიმტკიცის 12000 მ. მთავარი ამონაწერი 3000 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 769 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 3 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა შესრულებული 20 თებერვალს 1920 წ. გუდაუთის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ ნასყიდობის სეგელი, რომლითაც ფრანც სტეფანეს ძე ბერდიკიანმა მიჰყიდა 2000 მ. პოლოს პეტრეს ძე შამილიანს უფლება $1/2$ ნაწილზე სამი მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქალ. გუდაუთში, კვ. № 130-131, № 3, 4 და 5, ზომით 720 ოთხკ. საჟ. სულ 3 ნაჭერი.

გადახდილია: სიმტკიცის 80 მან., მთავარი ამონაწერი 20 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 770 1—1

დაიკარგა ნუსხა № 18 დალოსტი ალექსანდრეს ძე მიქიაშვილის სახელზე, მიღებული ონის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1969 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი წინო გრიგორის ასული უზნაძის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1900 წ. მარტის 10 რეესტრით № 657. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1958 3—1

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის 7 კლ. დამთავრების ატესტატი № 340 და ამავე სასწავლებლის მე-8 კლ. დამთავრების მოწმობა № 242 სალომე ნოშრევანის ასული ალავიძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1959 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 488 გაბრიელ ივანეს ძე კაზაროვის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1962 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი ეკატერინე ივანეს ასული ვორონოვის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1954 3—1

დაიკარგა მოწმობა № 887 ელენა გრიგოლის ასული ციხითათრიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან, მას შინა რომ მის ხარჯზე ცხოვრობს ხუთი სული. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1956 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ემანუილ ივანეს ძე სატირიადის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი, მიცემული კონსტანტინეპოლი და საბერძნეთის კონსულისაგან № 2116, სოხოვს მნახველებს აღნიშნული პასპორტისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ, წინაღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ჩაითვალოს. 1967 1—1

გურჯაანის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ 1920 წელს მაისის 2 დღეს ქვრივ ელისაბედ აბრამის ასულ კარბელაშვილის ფხალაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება აღნიშნულ კარბელაშვილ-ფხალაძის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაზე სამოქ. სამ. კან. კრებ. 1241 მ. აღნიშნულ ვადაზე. 1968 3-1

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა № 53 ივანე გიორგის ძე პეტრიაშვილის სახელზე, მიღებული დაბაონის, რაჭის მაზრისა, სამხედრო საკრებულოდან 1906 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—1

მეჯვრისხევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მოქალაქე ნინო ალექსანდრე ფურცელაძის ასულის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლებებ, გარდაცვალებულის ქონებაზე, სამოქ. კან. კრებ. მეX თე ტომ. 1 ნაწ. აღნიშნულ ვადაში. 1966 1—1

ქ. ტფილისის მე 4 უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ თანახმად მისი 17 ივლისის 1920 წ. დადგენილებისა, რწმუნების წერილი, გაცემული ქართულ საამშენებლო და სავაჭრო აქციონერული საზოგადოების „ოქროს ვერძის“ გამგეობის მიერ ხსენებულ საზოგადოების ყოფილ დირექტორგანკარგულების ნესტორ დიმიტრის ძის ცინცაძისადმი, შემოწმებულ ტფილისის ნოტარიუსის გიორგი ლუარსაბის ძის მაჭავარიანის კანტორაში 1919 წ. 14 აგვისტოს რეესტრით № 659. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1940 1—1

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი № 22177, მიღებული ტფ. ოლქის სასამართლოდან 1911 წელს და აღნიშნული ტფ. ნოტარიალური არქივში რეესტრით № 3265-1911 წ. ნიკოლოზ ბერას ძე ხრიმიანცის მამულზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1902 3—3

დაიკარგა ტფ. წმ. ნინოს სასწავლებლის დამთავრების ატესტატი შუშანიკა მიხეილის ასული ალხაზოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1899 3—3

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.